1939/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეთოთხმეტე

პიონერი

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქ. განსახკომის ორთთვიური ჟურნალი

მ ა რ ტ ი 1939 წ. № 3

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—61.

შინაარსი

გვ.

1. მეთვრამეტე ყრილობა, — (წერილი) 1
2. გიორგი კაჭახიძე, — მარტი (ლექსი) 2
3. ლენინის უახლოესი მეგობარი, — (წერილი) 3
4. ლიდია მეგრელიძე, — უმამოდ (პოემა) 4
5. ნინო ნაკაშიძე, — ულუ და თეთ (მოთხრობა) 6
6. ალექსანდრე აბაშელი, — დილა სოფლად (ლექსი) 11
7. ვ. ძამაშვილი, — ტარას შევჩენკო (წერილი) 12
8. ტარას შევჩენკო, — *** (ლექსი_ თარგმანი მაყვალა მრევლიშვილისა) 13
9. პოლიენ იაკოვლევი, — მისი აღმატებულება ჩამობრძანდა (მოთხრობა თარგმანი თ. შ.-ისა) 14
10. მოსწავლეთა შემოქმედება, —(ლექსები) . . . . . გარეკანის მე-3 გვ.
11. ვლ. კახიანი, — ზღარბი და ბუ (ნარკვევი) . . . გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვარ ი. ქოქიაშვილის მიერ

გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის ა. ხაჭიძის

პასუხისმგებელი რედაქტორი—ვლ. აგლაძე

პასუხისმგებელი მდივანი—ნ. ხირბილაძე

მთავლიტი 2517 შეკვ. № 194 ტირაჟი 13900 საკომსაბჭოს სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართ. ბიბლიოთეკა
3528

მეთვრამეტე ყრილობა

ათ მარტს მოსკოვში გაიხსნა ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტიის მეთვრამეტე ყრილობა. ყრილობის დელეგატები ერთსულოვანი აღტაცებით და ტაშის გრიალით შეეგებნენ პრეზიდიუმში დიდი სტალინის და მისი თანამებრძოლების გამოჩენას. დიდხანს, დიდხანს ქუხდა ტაში და ისმოდა მისალმების შეძახილები ჩვენი საამური ცხოვრების შემოქმედის, მამის და მასწავლებლის მიმართ.

ყრილობის პირველ სხდომაზევე მოხსენებით გამოვიდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი სტალინი. ამხანაგ სტალინის მოხსენება—ეს იყო ანგარიში პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

დიდმა ბელადმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე, საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობაზე, ჩვენი ქვეყნის შემდგომ განმტკიცებაზე... დელეგატები გატაცებით უსმენდნენ ბელადს.

და როდესაც ამხანაგმა სტალინმა დაამთავრა მოხსენება, იგრიალა ერთსულოვანმა ტაშმა. ყველა დელეგატი ფეხზე ადგა. ყრილობამ ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა დიდ ბელადს. დიდხანს ისმოდა შეძახილები: „ვაშა! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს! დიდ სტალინს ვაშა! ჩვენს საყვარელ სტალინს ვაშა!“

კომინტერნის აღმასკომში საკავშირო კომუნისტური პარტიის დელეგაციის მუშაობის შესახებ ყრილობას მოუთხრო ამხ. მანუილსკიმ.

ჩვენი დიდი სამშობლოს სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ მ ა.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წესდებაში ცვლილებების შეტანაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ა. ა. ჟ დ ა ნ ო ვ ი.

მოხსენებების და კამათის დამთავრების შემდეგ ყრილობამ აირჩია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური სარევიზიო კომისია და კომისია საკ. კ. პ. (ბ) პროგრამის შესაცვლელად.

ოცდაერთ მარტს ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.

* * *

ყრილობის მუშაობის დამთავრების მეორე დღეს, ოცდაორ მარტს შესდგა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა აირჩია ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოები შემდეგი შემადგენლობით:

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო: წევრები: ამხანაგები—ა. ა. ა ნ დ რ ე ე ვ ი, კ. ე. ვ ო რ ო შ ი ლ ო ვ ი, ა. ა. ჟ დ ა ნ ო ვ ი, ლ. მ. კ ა გ ა ნ ო ვ ი ჩ ი, მ. ი. კ ა ლ ი ნ ი ნ ი, ა. ი. მ ი ჭ ო ი ა ნ ი, ვ. მ. მ ო ლ ო ტ ო ვ ი, ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი. კანდიდატები: ამხანაგები—ლ. პ. ბ ე რ ი ა, ნ. მ. შ ვ ე რ ნ ი კ ი.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნო: ამხანაგები—ა. ა. ა ნ დ რ ე ე ვ ი, ა. ა. ჟ დ ა ნ ო ვ ი, გ. მ. მ ა ლ ე ნ კ ო ვ ი, ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

ცენტრალური კომიტეტის ორგბიურო: ამხანაგები—ა. ა. ა ნ დ რ ე ე ვ ი, ა. ა. ჟ დ ა ნ ო ვ ი, ლ. მ. კ ა გ ა ნ ო ვ ი ჩ ი, გ. მ. მ ა ლ ე ნ კ ო ვ ი, ლ. ზ. მ ე ხ ლ ი ს ი, ნ. ა. მ ი ხ ა ი ლ ო ვ ი, ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ნ. მ. შ ვ ე რ ნ ი კ ი, ა. ს. შ ჩ ე რ ბ ა კ ო ვ ი.

ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია ამხანაგი ა. ა. ა ნ დ რ ე ე ვ ი.

* * *

ოცდაორ მარტსავე შესდგა ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. მ. ფ. ვ ლ ა დ ი მ ი რ ს კ ი.

გიორგი ყაჯარიძე

მარტი

ფანჯრებს თვალი მოანათე,
გამაგონე კვლავ სიმღერა,
გაზაფხულის ღიმილი ხარ
და პირველი გულის ძგერა.
ამაცელქე... შინ ვერ დავდექ,
გამოვედი შენთან გარეთ,
გეამა და ტყემლის თეთრი
ყვავილები მომაყარე.
მზის სხივებით გადამკოცნე,
გამიბრწყინე შუქით სახე,
წამიყვანე და ტყის პირად
მორცხვი ია დამანახე.
ვერ გაგკიცხავ, თუ ხანდახან
მოიწყენ და დახრი თვალებს,
ვიცი, გულით მხიარული
გაიღიმებ ისევ მალე.

დარს უყენებ ხშირად სოფელს,
ფართოვდება მინდვრად ხნული,
გულგახსნილი ბელტიც მღერის:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
მე კი როგორ არ ვიმღერო,
ლხენით მავსებს არემარე,
ფართოდ თვალის გასახელად
იშმუშნება ტყე მძინარე.
ცა მზის ზღაპარს ეუბნება
ტყის გადაღმა მდგომ ჩინარებს...
რა კარგი ხარ, მარტის თვეო,
ხან მწყრალო და ხან მცინარევ!
ვინ არ გეტრფის, არ შეგხარის,
გაზაფხულის კარებს აღებ,
შენი ფრთების ხმა რომ ესმით,
აღტაცება უდგათ ბაღებს.

ლენინის უახლოესი მეგობარი

ოცდაექვს თებერვალს სამოცდაათი წელი შესრულდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას დაბადებიდან.

ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მთელმა ხალხმა დიდი სიყვარულით აღნიშნა ლენინის უახლოესი მეგობრის დაბადების სამოცდაათი წლისთავი. იმ დღეს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ბევრი წერილი მიუვიდა; ზოგიერთები ულოცავდნენ, ზოგიერთები რჩევა-დარიგებას სთხოვდნენ...

მაგრამ იგი მძიმე ავადმყოფი იყო, გრძნობადაკარგული. ოცდაოთხ თებერვალს საღამოთი გახდა ავად. მალე ცნობიერებაც დაკარგა. ამიტომ კრემლის საავადმყოფოში მოათავსეს. გამოცდილი ექიმები თავს დასტრიალებდნენ მხცოვან ბოლშევიკს, უვლიდნენ და მკურნალობდნენ. ხანდახან ხდებოდა ისე, რომ ავადმყოფი გონს მოვიდოდა. მაშინ მისი ფიქრები მომავალ მუშაობას ეხებოდნენ.



— როგორც გენებოთ, მაგრამ ყრილობაზე მაინც წავალ, — ეტყოდა ექიმებს.

და ოცნებობდა დასწრებოდა პარტიის მეთვრამეტე ყრილობას.

მაგრამ უკვე ოცდაშვიდ თებერვალს, დილის ექვს საათსა და თხუთმეტ წუთზე ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გარდაიცვალა.

ვის არ დასწყვეტდა გულს მისი გარდაცვალება. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ხომ ლენინის უახლოესი მეგობარი, თანამებრძოლი და თანაშემწე იყო, იგი ხომ ხალხის ერთგული შვილი იყო!

1893 წელს პეტერბურგში ჩავიდა ვლადიმერ ილიას-ძე, სადაც მაშინ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულიც ცხოვრობდა. ლენინმა იქ მარქსისტ მუშათა წრეებისაგან შექმნა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“. ამ კავშირში შევიდა ნადეჟდა კრუპსკაიაც. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციური ფურცლების ბეჭდვასა და გავრცელებაში.

1895 წელს ვლადიმერ ილიას-ძე დააპატიმრეს. მალე დააპატიმრეს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულიც.

შვიდი თვე იჯდა იგი წინასწარი პატიმრობის სახლში, ხოლო შემდეგ მას სამი წლით გადასახლება მიუსაჯეს უფის გუბერნიაში. მაგრამ შემდეგ ნება დართეს სასჯელი მოეხადა ენისეის გუბერნიის სოფელ შუშენსკოეში, სადაც უკვე ცხოვრობდა გადასახლებაში მყოფი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ლენინის ხელმძღვანელობით შუშენსკოეში კრუპსკაიამ დაწერა ბროშურა „მუშა ქალი“. ლენინთან ერთად თარგმნა სიდნეი და ბეატრისა ვების წიგნი პროფკავშირების შესახებ.

ასე ერთად მუშაობდნენ ისინი ცხრაასხუთიან წლებში, მძიმე რეაქციის წლებში, მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში, სამოქალაქო ომის წლებში... ყოველთვის, ყოველთვის...

1926 წლიდან გარდაცვალებამდე ამხანაგ კრუპსკაიას განათლების სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობა ეჭირა.

ყოველთვიურად ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ათიათასამდე წერილი მისდიოდა. უკანასკნელ დროს, სხვათა შორის, მან მიიღო წერილი ვოლოგდის ოლქის გრიზოვეცკის სკოლის ბრმა მოსწავლეებისაგან: გვაცნობეთ რა სიმღერა გიყვართ ყველაზე უფრო, ამ სიმღერას დავისწავლით და თქვენი დაბადების სამოცდაათი წლის თავზე ვიმღერებთო.

აი რა მისწერა მათ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა: „ჩემო ძვირფასნო, თქვენ მთხოვთ გაცნობოთ, თუ რა სიმღერები მიყვარს ყველაზე უფრო მეტად, გსურთ დაისწავლოთ ეს სიმღერები.

ჩემი ყველაზე უფრო საყვარელი სიმღერაა „ინტერნაციონალი“. ძალიან მიყვარდა აგრეთვე სიმღერა „წითელი არმია“ („თეთრი არმია, შავი ბარონი ჩვენ კვლავ გვიმზადებს მეფის ტახტს“ და სხვ.). სამოქალაქო ომის დროს მას კრემლში წითელარმიელები მღეროდნენ, და მე და ილიჩს ძალიან გვიყვარდა მისი მოსმენა.

მხურვალე სალამი, ძვირფასო ბავშვებო“.

ამხანაგი კრუპსკაია იყო საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდია მეგრელიძე

უმამოდ

(პოემა)

I

როგორ უყვარს მზეთამზისას,
როგორ უყვარს მამა!
ეს წითელი დიდი ბურთი
მამამ მოუტანა.
მაგრამ ახლა რახანია
მამა აღარ მოდის.
„სად წავიდა, ნეტა, მამა?
როდის მოვა, რო-დ-ი-ს?
წითელ ვაშლებს, ფორთოხლებს და
რას მომიტანს კიდევ?“
და გახედავს მზეთამზისა
ქუჩებს კიდით-კიდე.
„—ალბათ, სულ რომ დაღამდება,
მამა მაშინ მოვა“...
ქარი ქრის და ჭანდრის ფოთლებს
მიაქროლებს გროვად.
გარეთ ცივა, ყვავილნარებს
სცივათ ხეივანში.
ხეს ფოთლები სცვივა, სცვივა,
მოშრიალებს ქარში.
ლევანიკა ჩანთით მხარზე
შემოირბენს მარდი.
—„დედა კიდევ არ მოსულა?“
ბებო ჯოხით დადის.
რა ჰქნას ბებომ, მოხუცია,

მასაც უნდა შველა,
დარეჯანი როგორ გასწვდეს,
როგორ გასწვდეს ყველას.

II

—„დაიკონა, გამიგონე,
მამა აღარ მოვა,
შეხე, თოვლმა აივანზე
როგორ შემოთოვა!“
ლევანიკას უყვარს დაი
და უყვება ამბავს,
ხან თმას უწნავს, ხან ლილს უბნევს,
ხან უსწორებს კაბას.
ბებო ისევ ჯოხზე ბჯენით
გამოაღებს კარებს,
გაუღიმებს აივანზე
ფიფქებს მოკამკამეს.
—„მოდი, შვილო, თეთრი ფიფქი
მომიტანე ჯამით,
შემდეგ ზამთარს ვინ მიაღწევს,
აღარა მაქვს ჯანი“.
ლევანიკამ სულ დატენა
თეთრი თოვლით ჯამი,
მზეთამზისას დაავიწყდა
ახლა მამის ჯავრი.
აივანზე ისევ თოვს და
ფიფქი თეთრად ბრწყინავს.
რას დააკლებს ამ კუდრაჭებს
თოვლი, ქარი, ყინვა.
გუნდაობენ, ბურთაობენ,
კისკისებენ, რბიან.
„—დედა, ალბათ, კრებაზეა“..
„—დედა მოვა გვიან“.

III

ბებო თვლემს და სასთუმალთან
უზის თეთრი კატა,
მზეთამზისას ჩაეძინა,
ლევანიკა ხატავს.
ხატავს, ხატავს და დახატა
მზეთამზისას ცხვირი,
თვალიც ისე გაუკეთა,
გეგონებათ ტირის.
—„მერე რაა? მე ამ ნახატს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავუგზავნი მამას,
წერილს მივწერ ისეთს, ისეთს,
რომ მოვიდეს ჩქარა“.—
გაიფიქრა ლევანიკამ
და შეუდგა წერას:
—„ჩემო მამა, ველარ ვუძლებ
სულ ქუჩისკენ ცქერას.
ვფიქრობ: აბა, ახლა მოვა,
აბა, ახლა, ახლა...
მამიკონა, ხომ არ ხუმრობ,



როდის მოხვალ მართლა?
აი შეხე, როგორ ტირის
მზეთამხისა—ქალი,
სულ კარისკენ მოუღრიცავს
ცრემლიანი თვალი.
ამბობს: „სულ რომ დაღამდება,
მამა მაშინ მოვა“..
დაღამდა და აივანზე
თოვლმა შემოთოვა“.
მორჩა წერას ლევანიკა,
მაგრამ ეს ბარათი
სად წაიღოს, რომ არ იცის
მამის მისამართი?
ფიქრობს, ფიქრობს ლევანიკა,
ფიქრი ოთახს ავსებს
და ბოლოს თქვა: „ასე ჯობსო,
ასე დავწერ, ასე:
ვინც ამ წერილს წაიკითხავს,
ვინც ამ ბარათს ნახავს,
თუ იცნობდეს, ვთხოვ გადასცეს
გობეჩია ბახას“.
ჩაირბინა სწრაფად კიბე
და ჩაუშვა ყუთში.
„—რა ვქნა, დედამ არ ნახოსო“—
გაუელვა გულში.
ძლივს აასწრო კიბეზე და
გული აუფეთქდა:
აჰა, დედაც შემოვიდა
გაფიფქული თეთრად.

IV

ლევანიკას წერილს გუშინ
კითხულობდა ყველა,
„კომუნისტმა“ თურმე იგი
გადაბეჭდა ხელად.
თან წერილი წაუმძღვარა
გასაგები ნათლად,
ქვეყნისათვის გასაგონი,
დაწერილი მართლად:
„უგულოს და ულირს მამას!
ფლიდს და არამზადას!
ხალხის ხმას და ხალხის რისხვას
სად წაუხვალ, სადა?
ყველგან მოვა სამართალი,
მოგნახავს და გკითხავს:
—სად დააგდე წყვილი შვილი?
რას ფიქრობდი, გვითხარ!
ლალატი და გადამალვა
შეგრჩებოდა, განა?
სამართლის წინ პასუხს აგებ,
როგორც ყველა მამა“.
დარეჯანმა ეს გაზეთი
საღამოზე ნახა:
„ლევანიკას მინაწერი
გობეჩია ბახას“.

წაიკითხა, გაიღიმა,
გულში ჩასვლა დედას
და თვალებში აუგორდა
მოგონების სევდა.
ეხუტება დედა შვილებს
და წამწამებს ნამავს.
„—რა ვქნა, ბარემ მეც მინდოდა,
რომ გყოლოდათ მამა“.
გარეთ თოვს და ფიფქი ბრწყინავს,
თეთრი, ნაზი, წმინდა,
რამოდენა ბამბის ფთილა
მოფარფატებს ციდან!

ნინო ნაკაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული) *

ისინი გადადგნენ სერზე და გადაიხედეს. მათ წინ დაქანებული წითელი თირის თავდალმართი ეშვებოდა იოს ნაპირას. ღრიალით მიიგრაგნებოდა უზარმაზარი მღვრიე მდინარე იო თავის კალაპოტში. იო არ ჰგავდა ლამაზ მზისფერ ტკას, იო მქუხარედ მიიჩქაროდა ქვევით და მიჰქონდა მღვრიე ტალღები ხშირტყიან ნაპირებს შუა.

— აი, აქ არის მღვიმე.

მათ ჩაირბინეს დალმართი, იოს წითელი თირის ნაპირას ზემოთ გამოკვეთილი იყო პატარა მღვიმე, პირით მდინარე იოსაკენ, სწორედ იმოდენა, რომ სამი კაცი დატეულიყო.

— ჩვენ გავაფართოვოთ მღვიმე!—თქვა უღუმ.

— აქ სულ თხის ტყავები მოვფინოთ,—წარმოთქვა თეთმა სიხარულით და შეხედა გოხს.

— მე მოვიტან, მე ვინადირებ... მე...

— ჩვენ ყველანი წავალთ სანადიროდ, გოხ,—უთხრა მას თეთმა.

დაიწყეს სამივემ [illegible]ურება პატარა წითელ მღვიმეში, მდინარე იოს ნაპირას. თხის ხორცი და ტყავები ულეველი ჰქონდათ. ყველაზე უწინ თვითონ შეიმოსნენ რუხი და ჭრელი ტყავებით, შემდეგ კი შავებით მოფინეს მთელი მღვიმე. შესავალშიც კარების მაგივრად ტყავები ჩამოკიდეს და, თუმცა ცეცხლი არ ჰქონდათ, მთელი ზამთარი სიცივე ისე აღარ სტანჯავდათ.

— აჰ, ცეცხლი!—ამბობდა გოხ.

— არა უშავს, ვიშოვნით როდისმე,—იტყოდა თეთ და გაიცინებდა. თხის ხორცით იკვებებოდნენ, ძვლებს კი იქვე მღვიმის გვერდით ყრიდნენ.

ერთხელ დილით გოხ აღშფოთებული შემოვარდა მღვიმეში.—მხეცი!—დაიყვირა მან და ეცა ცულს, მაგრამ სანამ გარეთ გამოვიდოდა,მხეცი გაიქცა.

მეორე დღეს თეთმა ძვლები რომ, გამოიტანა გადასაყრელად, მხეცი ძვლების გროვასთან დახვდა. ხრავდა ძვლებს და თან კუდს აქნევდა.

— მხეცი,—დაიყვირა თეთმა და შეშინებული შეევარდა მღვიმეში. მაგრამ მხეცი ახლაც გაიქცა. მხოლოდ დაიწყო ყოველდღე სიარული და ხანდახან ღამეც რჩებოდა. იწვა ძვლებთან, ხრავდა და ყეფდა.

— საკვირველი მხეცია,—თქვა თეთმა, — ძვლებს ხრავს,კუდს აქნევს და „ჰამუ, ჰამუს“ იძახის, თითქოს ვიღაცას აშინებს. იქნება იმასაც ჩვენთან უნდა ცხოვრება?

თანდათან ყველანი შეეჩვივნენ ჰამუს, არავინ ყურადღებას არ აქცევდა და არ უშლიდნენ ძვლების ჭამას. მაგრამ ერთი შემთხვევის შემდეგ შეიყვარეს კიდევაც.

ღამე გაისმა ჰამუს საშინელი ყეფა და მეორე მხეცის შემაძრწუნებელი ყმუილი. უღუ, გოხ და თეთ წამოცვივდნენ და ცულებით შეიარაღებულნი ჩადგნენ მღვიმის კარებში. მათ დაინახეს, რომ ჰამუ ებრძოდა თავისზე დიდ მხეცს. კბენდნენ და გლეჯდნენ ერთმანეთს. ორივეს სისხლი სდიოდა. კოტრიალებდნენ მიწაზე. ტყავი ორივეს დაგლეჯილი ჰქონდა.

— ეს ავი მხეცია,—თქვა უღუმ.

— მგელია, მგელი, მგელს ებრძვის ჰამუ!—იძახდა გოხ და სამივენი გაცვივდნენ ჰამუს დასახმარებლად, მაგრამ ჰამუმ სძლია მგელს, დაახრჩო ის და ენაგამოგდებული, აქოშინებული დაადგა თავზე.

— ოჰ, ჰამუ, ჰამუ!—დაიძახა თეთმა და გაექანა ჰამუსაკენ. მაგრამ უცებ შეშინდა და შეჩერდა. მაშინ თვითონ ჰამუ მიუახლოვდა თეთს და დაუწყო კუდის ქნევით ფეხების ლოკვა, და თეთმაც გადაუსვა თავზე ხელი.

მგლის ტყავი მღვიმეში დაიგეს და ხორცით კი კარგახანს იკვებებოდნენ, როგორც თვითონ, ისე ჰამუც, რომელიც ახლა მღვიმეშიაც შემოდიოდა.

— ცეცხლი, ცეცხლი!—იძახდა გოხ. — შევწვავდით! ოჰ რა ცეცხლი წაგვართვეს! ოჰ, როდის დავვაჟკაცდები!

— ჩვენც!—ამბობდა უღუ დაღონებული,—თბილი, ლამაზი, წითელი ცეცხლი, როგორც მზის ჩასვლისას ცა არის ხოლმე.

— სუთ, სუთ, ჩვენ ხომ უცეცხლოდ თბილად ვართ ტყავებში, ოდესმე მოვა ჩვენთან ცეცხლიც, როგორც ჩვენი ახალი მეგობარი,—და ბანჯგვლიან თავზე მიუალერსა თხის ტყავზე გაწოლილ ჰამუს. კუდის ქნევით ალერსიანად შესცქეროდა ჰამუ თეთს,

---

* იხ.„ პიონერი“ 1938 წ. № 11 და 12 და 1939 წ. № 1 და 2

მგლის ტყავზე არასოდეს არ წვებოდა და ყოველთვის, როდესაც უცაბედად მიუახლოვდებოდა ტყავს, ღრენით გადახტებოდა იქით.

თოვლით დაიბურა მინდვრები, მთები და ტიტველი ხეები. თოვლი იბარდნებოდა დიდრონ, ლამაზ თეთრ ფანტელებად. ცა იბურებოდა, იქუშებოდა ირგვლივ ყველაფერი წყნარდებოდა. მდინარე იოც. ისე გაშმაგებული აღარ მირბოდა თავის კალაპოტში და ჩუმი დუდუნით იკრავდა გულში თეთრ ფანტელებს.

— უჰ, ლამაზია, ლამაზია!—ამბობდა უღუ აღტაცებით.

— ოჰ, მომბეზრდა. მე მინდა ნადირობა, სირბილი!—ამბობდა გოხ.

— მე მიყვარს თოვლი, საჭმელი გვაქვს და ტყავები. მე მინდა თქვენ გაიცინოთ,—ამბობდა თეთ.

როდესაც თოვა შეწყდებოდა და მზე გადმოიხედავდა კრიალა ციდან, სიცილით დაანათებდა წვრილი სირმის ნემსებივით გადათეთრებულ მიდამოს და ხეებიდან ხმაურით გადმოიბერტყებოდა თოვლის გროვა, თეთრი და ფხვიერი, ჰამუ გამოხტებოდა, ყეფით დარბოდა ირგვლივ და კოტრიალებდა თოვლში. იოც თითქოს ხმას იღებდა და ხმაურით ხალისიანად მიაგორებდა მწვანე ტალღებს.

— ოჰ, ლამაზია!—ამბობდა უღუ და გამორბოდა თეთთან და გოხთან ერთად. სამივენი დარბოდნენ და აყრიდნენ თოვლს ერთმანეთს. ჰამუც სიხარულის ყეფით დასდევდა მათ.

ჰამუ ეხმარებოდა მათ ნადირობაში და ღამე ყარაულობდა მათ. არც მგლის, არც აფთრის შიში აღარ ჰქონდათ.

ასე გაატარეს მათ მთელი ზამთარი.

გაზაფხულდა. ყველაფერი გაცოცხლდა, ამოძრავდა და გამხიარულდა. თოვლი ღვარებად მოსკდა და ჩაიღვარა იოს ტალღებში. ტყე აშრიალდა, ფრინველების სიმღერაც გაისმა. უღუ, თეთ და გოხ უფრო ხშირად გამოდიოდნენ სანადიროდ.

— ამ დიდ ტყეში არასოდეს არ უნდა შევიდეთ,—თქვა ერთხელ გოხმა, როდესაც მიუახლოვდნენ ტყეს, იოს ნაპირებიდან რომ მოჩანდა.

— რატომ?—ჰკითხა უღუმ.

— ჩვენი მამამთავარი ამბობდა, რომ იქ ხეებზე ცხოვრობენ უჩინარი მხეცები, და ვინც შიგ შევა, მაშინვე მოკლავენ ქვებით. ქვები დაგროვილი აქვთ დაკიდებულ ტყავებში.

უცებ უღუ შეჩერდა, მათ ახლოს პატარა კლდოვანი კოჯორა დაინახა ამაღლებული. კოჯორას კალთაზე მაღალი კაცის სიმაღლე სვეტი იდგა. უღუ გაიქცა და ყოვლის მხრით შემოუტრიალა ქვის სვეტს, როდესაც თეთ და გოხ მივიდნენ, ის დაფიქრებული შეჰყურებდა სვეტს, რომელიც მაღლა უფრო წვრილი იყო და ძირს უფრო მსხვილი.

— რა, უღუ? რას უყურებ?—ჰკითხა მას თეთმა.

უღუ ერთხანს დუმდა, შემდეგ მოტრიალდა და მხიარულად უთხრა:—წავიდეთ სანადიროდ.

მეორე დღეს ამოანათა თუ არა მზემ, უღუმ აიღო ცული და კაჟის დანა და გავიდა მღვიმიდან.

— ჩვენ, უღუ?-ჰკითხა თეთმა.

— ჰო, თქვენც მოდით კოჯორასთან.

როდესაც თეთ და გოხ მივიდნენ, უღუს მიეგორებინა სვეტის ძირას ქვა, იდგა ზედ და თლიდა და წმენდდა სვეტს კაჟის დანით.

— თეთ, მე მინდა ნენ დავხატო...

— ჰო, უღუ, ნენ, ჩვენი ნენ? ჩვენ ხომ ვერასოდეს ვერ ვნახავთ ნენს!

— ოდესმე დავვაჟკაცდებით და ვნახავთ.

— ნენ? რა არის ნენ? დედა? ჩვენ ბევრი დედა და მამა გვყავდა,—თქვა ოცნებით გოხმა.—ოჰ, რომ დავვაჟკაცდები...-დაუძატა მან.

უღუ ყოველდღე დადიოდა და მუშაობდა ქვის სვეტზე. თეთ, გოხ და ჰამუ დადიოდნენ სანადიროდ. ერთ დღეს გოხმა და თეთმა მოიყვანეს პატარა თიკანი, დედა-თხა კი თვითონ წამოჰყვა. თეთმა ახლა იცოდა, რომ დედა-თხა არ დატოვებდა თავის პატარას და არ მოაკვლევინა გოხს.

გოხს ისე მოეწონა თბილი რძე, რომ შემდგომ თვითონაც მოიყვანა კიდევ ორი თხა და თეთ შორს არ უშვებდა მათ, რომ არ დაკარგულიყვნენ, როგორც დაიკარგა დიდი მუ.

განსაკუთრებით უფრთხილდებოდა მათ გოხ, და ჰამუ ეხმარებოდა მას.

უღუ კი მუშაობდა და მუშაობდა ქვაზე. ძნელი იყო ქვის გათლა, კაჟის ცული და დანა ხშირად ჩლუნგდებოდა, მაგრამ უღუ გულს არ იტეხდა, დარწმუნებული იყო, რომ ბოლოსდაბოლოს გამოჰკვეთდა ნენის სახეს.

ერთ დღეს, მუშაობის დროს, მოესმა მას რაღაც ჩიტის გალობა:

— წკრია, წკრია, წკრიიი...

ულუმ მიიხედ მოიხედა. არსად მახლობელ ხეებზე არავითარი ჩიტი არ ჩანდა, და ისევ შეუდგა მუშაობას.

— წკრია, წკრია, წკრიიი! წკრიალებდა ჩიტი.

ულუ ისევ შეჩერდა. მას მოეჩვენა, რომ ტყეში სულ განაპირა ხეზე გალობდა რაღაც დიდი ჩიტი. ისე სასიამოვნოდ გალობდა, რომ ულუმ დაყარა იარაღი და გაიქცა, მაგრამ როდესაც ხესთან მიირბინა, ზედ არავითარი ჩიტი არ აღმოჩნდა.

ულუ ისევ დაბრუნდა და ისევ შეუდგა მუშაობას. მას უკვე ჰქონდა გამოკვეთილი ლედის განიერი თასმით გადაკრული თმა, სახე, ნიკაპი და ახლა ჰკვეთდა კისერსა და მხრებს.

დილით, როდესაც ულუ სამუშაოდ მოვიდა, სწორედ სვეტის ძირას გვიმრის რამდენიმე ფოთოლი ნახა დაყრილი. ცოტა არ იყოს გაუკვირდა, მაგრამ ისევ შეუდგა მუშაობას და ისევ გაისმა საამო:

— წკრია, წკრია, წკრიიი.

ულუ მოსწყდა ადგილს და გაიქცა, ტყესთან რომ მიირბინა, მას მოეჩვენა, რომ ვიღაც კი არ გადაფრინდა, გადახტა მეორე ხეზე და ახლა იქ დაავწკრიალა: წკრია, წკრია წკრიიი...

ულუს მოაგონდა გოხის სიტყვები, რომ ტყეში ხეებზე მხეცები ცხოვრობენ და ეს მხეცები ხოცავენ ყველასო, და ისევ დაბრუნდა უკან, მხოლოდ აღარ იმუშავა და წავიდა მღვიმეში. რამდენიმე დღე დარჩა ის თეთთან და გოხთან. დადიოდა მათთან სანადიროდ და სვამდა მათთან ერთად მგლის თავის ქალათი თხის თბილ რძეს.

თხები აღარ მიდიოდნენ შორს, იქვე ახლომახლო წიწკნიდნენ ნეკერს და სვამდნენ იოს წყალს.

რამდენიმე დღის შემდეგ ულუმ ველარ მოითმინა და გაემართა სამუშაოდ. მიდიოდა და მის თავში უკმაყოფილო აზრი ტრიალებდა, რომ ვერ შეიტყო, რა იყო ის „წკრია".

უცებ გავიდა მინდორზე და დაინახა, რომ მის სამუშაოსთან იდგა სრულიად მწვანე ფოთლებითა და გვიმრით შეფოთლილი გოგონა, ხტუნვახტუნვით დარბოდა ნენის ნახატის ირგვლივ და მხიარულად აწკრიალებდა:

— წკრია, წკრია, წკრიიი..

ულუ მიდიოდა ნელა, ძალიან ნელა, რომ არ დაეფრთხო წკრია, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა, გოგომ მოიხედა, დაიკივლა და გაიქცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

ულუ გამოუდგა და თუმც თეთსავით სირბილი არ იცოდა, გოხზე უფრო ფეხმარდი გამოდგა და სანამ ტყეში შეირბენდა, დაიჭირა.

— დაიცა, წკრია, რათ მირბი, წკრია, ვინა ხარ შენ?

გოგონა ფართხალებდა და თრთოდა შიშით.

— არ მომკლა, არ მომკლა, — იძახდა იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულუს არ ესმოდა მისი ლაპარაკი, მაგრამ ეუბნებოდა:

— ნუ გეშინია, წკრია, ნუ გეშინია.

ბოლოს გოგო მიხვდა, რომ არაფერს დაუშავებდა და დაწყნარდა.

ულუ გაჩქარებით მუშაობდა, წკრია იდგა და უყურებდა. ახლა ის ყოველდღე მოდიოდა, გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ულუს, მუშაობდა და თანაც აწკრიალებდა თავის სიმღერას:

— წკრია, წკრია, წკრი.....

ულუმ გამოკვეთა ნენის სახე, შემდეგ კისერი, მხრები, ხელები და დათვის ტყავის კაბა. წკრიამ მოიტანა კოჯორადან ჩამოცვენილი და ჩამოტეხილი ოთხკუთხი ქვები და აწყობდა ირგვლივ შორიახლო. ულუს მოეწონა ნენის ირგვლივ ქვით შემოფარგვლა, და მეორე წყებაც შემოავლეს.

ბევრი სიტყვა ისწავლა ულუსაგან წკრიამ და ულუმაც გაიგო მისგან, რომ წკრია ცხოვრობს ტყეში ხეზე თავიანთ დედებთან და მამებთან.

— ისინი არასოდეს არ გამოდიან ტყიდან. როდესაც მონადირეს ან ნადირს დაინახავენ, მოულოდნელად დაუშვენენ ქვებს, მოკლავენ და შეჭამენ. ძე მგონია, შენ რომ დამიჭირე, მომკლავდი და შემჭამდი. ჩვენ შენსავით სირბილი არ ვიცით.

— ოო, წკრია, მე შენ არასოდეს არ შეგჭამ, მე წაგიყვან ჩვენ მღვიმეში თეთთან, გოხთან და ჰამუსთან.

და ისინი გაემართნენ მღვიმეში. თეთ და გოხ არ იყვნენ შინ, ჰამუ კი იწვა მღვიმის პირას.

— ეს წკრიაა, ჰამუ, მგალობელი, უთხრა ულუმ ჰამუს, მაგრამ დაინახა თუ არა წკრიამ ჰამუ, მოსწყდა ადგილს და გაიქცა. როდესაც ულუმ მოიხედა, წკრია უკვე შორს იყო. ულუ გამოუდგა.

წკრიამ მიირბინა ტყეში და ავარდა ხეზე. ულუმაც მიირბინა ხესთან და შედგა ფეხი ასასვლელად. წკრიამ მოზიდა მეორე ხის ტოტი და გადახტა მეორე ხეზე, მეორედან მესამეზე. როგორც კი ულუ მიუახლოვდებოდა იმ ხეს, რომელზედაც წკრია იყო, ის შემდეგზე გადახტებოდა. ამნაირად შევიდნენ ისინი დაბურულ ტყეში. ულუს სრულიად გადაავიწყდა შიში და მისდევდა წკრიას, ხან გაბრაზებული, ხან ხვეწნით ეძახოდა, რომ ჩამოსულიყო. უცებ ქაქანით დაეწია მათ აქოშინებული ჰამუ და ატეხა ყეფა. მაშინვე რაღაც ხმაურობა მოესმა ულუს. მან ცქვიტა ყურები, მოიმარჯვა ცული და მოემზადა თავდასაცავად, მაგრამ გამოსროლილი ქვა სწორედ ყურში მოხვდა ჰამუს და იქვე წააქცია უსულოდ.

ხეზე გაისმა წკრიას ძახილი და სწრაფად ჩამოსრიალდა ძირს.

— ოჰ, ეს საძაგელი მხეცი, — თქვა და რაღაც დაუძახა ვიღაცას.

ხეებიდან ვიღაცა გამოეხმაურა, და ულუ მიხვდა, რომ ხეზე მცხოვრებ ტყის ხალხთან მოვიდნენ. მან დაინახა, რომ ვეება, უზარმაზარტოტებიან ხეებზე ბუდესავით ჰქონდათ ტყავებით მოწყობილი საცხოვრებელი. ზოგ ხეზე შტოებში იყო ჩამოწკრივებული ხეები და დაფენილ ტყავებსა და ხმელ ჩეჩქზე ისხდნენ, იწვნენ და დადიოდნენ გაბურძგნული ადამიანები. ხეების ძირას მიწა მოტიტვლებული და სველი იყო, ძვლების ნამტვრევები ეყარა და მძიმე და მყრალი სუნი იდგა.

ერთი გაბურძგნული ტყის კაცი შემოეჭდო ფეხებით ხეს, ჩამოსრიალდა და გამოსწია მათკენ.

—გაიქეცი, დაიმალე, მე დაგეწევი! უთხრა მას წკრიამ და თვითონ დადგა ჰამუს შორიახლო.

—აქ კიდევ იყო მხეცი.—თქვა მოსულმა ხის კაცმა, რომელიც მთელი ტანით ოდნავ წინ წამოხრილი მოდიოდა და წვრილ თეთრგუგიან თვალებს ბოროტად ატრიალებდა.

—მე ვიყავი,—უთხრა წკრიამ.

—შენ? მე შენ გაჩვენებ, საძაგელო ნტუნიავ,—დაემუქრა მოსული კაცი,—წამოიღე!

—შენ თვითონ წაიღე.

გაბრაზებული ხის კაცი კეტით მივარდა წკრიას, მაგრამ სანამ ის მივარდებოდა, წკრია უკვე ხის კენწეროზე გაჩნდა.

გაბურძგვნილ კაცს სხვებიც მიეშველნენ. ყვირილისა და ცაცხანის შემდეგ წაათრიეს მოკლული ჰამუ და წავიდნენ. პირველი კაცი ისევ შედგა და მუშტებით ემუქრებოდა წკრიას.

—ჩამოდი—ეუბნებოდა ის,—ჩამოდი, თორემ კი მოხვალ შინ, ფეხებს დაგამტვრევ...

წკრია დუმდა.

ულუ იდგა შორიახლო ხეს მოფარებული და უცდიდა წკრიას.

მზე ჩასულიყო,—იქ, სადაც მზე ჩავიდა, ცას თითქოს ხანძარი გასჩენოდა, ჯერ კიდევ წითლად ენთო მისი შუქი. ულუ და წკრია რომ მივიდნენ მღვიმეში, გაკვირვებული თეთ გამოვარდა, მათ დანახვაზე და განცვიფრებული შესცქეროდა წკრიას.

—თეთ, ეს წკრიაა ჩვენთან იცხოვრებს,—უთხრა მას ულუმ.

—წკრია, წკრია, რა მიხარია, ახლა ჩვენ ბევრი ვართ. გოხ, გოჰ,—დაუძახა მან გოხს.

—ოჰ, ეს ხომ ტყის ქალია!—შესძახა შემკრთალმა გოხმა.

—ტყის ქალია, მაგრამ ახლა ჩვენი იქნება. აბა შეხედე, გოხ, რა ლამაზია,—უთხრა მას ულუმ.

მართლაც, წკრია ლამაზი იყო. მას გაწეწილი ხუჭუჭა შავთმიანი თავიდან გვიმრის გრძელი ფოთოლი გამოშვებოდა. ლამაზი ჭრელ ყვითელი რაღაც მხეცის ტყავი მხრებზე ჰქონდა ჩამოკიდული და გვიმრითა და მწვანე ფოთლებით მოკაზმული უფარავდა ტანს. ტიტველა ფეხების მოძრავი, ფრჩხილებიანი თითები ყოველ წუთს მზად იყო ხეზე ასარბენად. შავი თვალები სიცილის სხივებით ელავდა მის მზით გაშავებულ სახეზე. თეთრი მახვილი ფართე კბილები თითქოს ანათებდა მის სქელსა და წითელ ბაგეებში.

—მართლა ჩვენთან იცხოვრებ?-ჰკითხა თეთმა და მოჰკიდა ხელზე ხელი, შეიყვანა მღვიმეში.

—ულუ! მე ვაჩვენებ წკრიას ჩვენს მღვიმეს და ყველაფერს...

მაგრამ უცებ განაგრძო დაღონებულმა.—იცი, ჩვენი ჰამუ დაიკარგა, მხოლოდ მისი პატარა შვილი დარჩა და თხის რძეს ვასმევ. ნახე,—მან ლეკვს დაუდგა მგლის თავის ქალით რძე, და იმან შლაპაშლუპით დაიწყო სვლეპა.

წკრია გაოცებული უყურებდა ყველაფერს. ყველაზე უფრო თხებმა გააკვირვა და შეაშინა იმათმა მახვილმა რქებმა და ისევ აპირებდა გაქცევას, მაგრამ ულუს მაგრად ეჭირა მისი ხელი და არ გაუშვა..

მზეს თანდათან მოემატა სითბო. თოვლი ხევებშიაც აღარსად ჩანდა და მღვრიე იოა ღრიალით მოექანებოდა, კალაპოტი ველარ იტევდა მას და ხშირად ისვროდა ზვირთებს მღვიმის პირას და მღვიმეშიაც. მზე არასოდეს არ იხედებოდა მღვიმეში, და ამ დროს ყველანი მიდიოდნენ კოჯორასთან და იქ ნენის სახის ირგვლივ ხელიხელჩაკიდებულნი ცეკვითა და სიმღერით ეგებებოდნენ წითელი მზის ამოსვლას და სიმღერითვე ემუდარებოდნენ ჩასვლისას, რომ ისევ ამოსულიყო თბილი და ნათელი.

სიხარულით ეგებებოდნენ ისინი ზაფხულში

შხაპუნა წვიმასაც, სწრაფად გაიხდიდნენ ტყავებს და დახტოდნენ, დარბოდნენ მინდორში.

ასე გავიდა ზაფხული, ზამთარი, კიდევ ზაფხული და კიდევ ზამთარი, რამდენი—თვითონაც არ იცოდნენ.

ულუმ გოხის დახმარებით კიდევ მოიტანა საიდღანაც ერთი მაღალი ქვა და ისიც გაწმინდა, გაასუფთავა და დადგა ნენის შორიახლო.

—ეს იქნება ბა,—ამბობდა ის,—მაგრამ ჯერ უნდოდა სულმთლად დაესრულებინა ნენის გამოსახულება.

ხანდიხან წკრია და ულუ მიდიოდნენ ტყეში, ჩუმად შეხედავდნენ ტყის ხალხს, რომლებიც იწვნენ ტყავებში შეხვეულნი, ან ჭამდნენ ან ყაყანებდნენ. ბავშვები ხეზე ჰყავდათ ფეხებით მიბმული თასმებით, რომ არ გადმოცვენილიყვნენ.

ტყიდან ულუსა და წკრიას მოჰქონდათ ტყის ხილი, თხილი, ფრინველების კვერცხები, სოკოები და გვიმრა. გვიმრით უყვარდა მოკაზმვა წკრიას.

ხშირად რჩებოდნენ ისინი ღამეც ქვებით გარშემოზღუდულ ნენისა და ბას სამყოფელის ახლოს, დიდი ჭადრის ფართე ტოტების ქვეშ.

ყოველ გაზაფხულზე იო გადმოვიდოდა ნაპირებიდან, წალეკავდა მიდამოს და გაავსებდა ჩქეფებით მღვიმეს. მაშინ იქ ცხოვრება არ შეიძლებოდა, გადმოსახლდებოდნენ და ხის ტოტების ქვეშ სახელდახელოდ გაკეთებულ კარავში ცხოვრობდნენ.

—ჩვენ ხეებზე უნდა დავბინავდეთ,—ამბობდა წკრია.

— არასოდეს,—ამბობდა გოხ, — ჩვენ თხებს არ შეუძლიათ ხეზე ცხოვრება.

— არა, მე მინდა მღვიმე მაღალ კლდეზე, ისე, როგორც ჩვენ გვქონდა,—ამბობდა—თეთ,—მე მოვიყვან პატარა მუს, მას მოჰყვება დიდი მუ.

— არა,—თქვა ულუმ,—ჩვენ უნდა დავბინავდეთ ამ კოჯორასთან. ხედავთ, ირგვლივ რა მინდორია, როგორ ამოდის აქ და როგორ ჩადის ბრწყინვალე მზე, როგორ იჭედება ცა ლამლამობით მთვარითა და ვარსკვლავებით და ჩვენც აქ ნენისა და ბას ირგვლივ ვმღერით... მე უნდა დავამთავრო ჩემი სამუშაო... უნდა ვიშოვნო მაგარი და მახვილი იარაღი... ჩვენ კიდევ უნდა წავიდეთ კაჟის მთაზე.

ოჰ, რა წვიმა მოვიდა, შხაპუნა და მსხვილი; ცა გრუხუნებდა და დანისლულ სივრცეს კვეთდა ელვის დაკლაკნილი ისრები.

ულუ, თეთ, გოხი და წკრია გუშინს აქეთია ნენისა და ბას სამყოფელის ახლოს სახელდახელოდ გაკეთებულ, ტყავით დაბურულ კარავში იყვნენ თავიანთი თხებით, თიკნებითა და პატარა ჰამუთი.

იოს განრისხებული ღრიალი უერთდებოდა ზეცის მრისხანე ქუხილს, ტყის ქშუილსა და წვიმის თქარათქურს. ისინი უყურებდნენ, როგორ გადმოხეთქა იომ ნაპირებიდან და ხმაურით გადმოსკდა ზვირთები. მღვრიე წყლით გაივსო მინდორი მათ წინ და ძლივს მიასწია კოჯორას კალთაზე არბენა, რომ გააფთრებულმა ტალღები ეკვეთა კარავს, დაანგრია და წალეკა. წვიმა შხაპაშხუპით ასხამდა. ჩაბნელებული ზეცა ცეცხლის ზოლებად დაკლაკნილ ელვას ესროდა დედამიწას. ჭექა-ქუხილისაგან ცა და დედამიწა ზანზარებდა. უცებ სადღაც მაგრად გავარდა მეხი...

— ოოჰ, გაისმა თავზარდაცემული გმინვა და ოთხივენი დავარდნენ პირქვე.

ქუხილმა გადაიგრუხუნა მთებზე და სადღაც მიწყდა.

წვიმა შეწყდა. ულუ, თეთ, გოხი და წკრია ადგნენ შეშინებულნი.

იო მიიწევდა თავისი კალაპოტისაკენ. წყალი იწრიტებოდა, მინდორი, ხასხასა და ყვავილებიანი, თანდათან იშლებოდა მათ თვალწინ. მოისმა ტკაცანი და კვამლის სუნი.

— ცეცხლი!—დაიყვირა თეთმა.—ცამ ცეცხლი გამოგვიგზავნა!—და გაიქცა ცეცხლისაკენ.

— იწვის, იწვის!—კიოდა წკრია.

ტყე იწვოდა. ავარდნილი ცეცხლის ალი ისროდა ნაპერწკლებს, ანთებულ ხის ტოტებსა და მუგუზლებს.

— ცეცხლი, ცეცხლი!—ყვიროდნენ ულუ და გოხიც და გახარებულნი მისდევდნენ თეთს.

წკრია უყურებდა მათ გაკვირვებული, ის ვერ მიმხვდარიყო, რად უნდოდათ ცეცხლი, საშინელი ცეცხლი, რომელიც ანადგურებდა და სპობდა ტყეს, ცხოველებს, ხეხილსაც და ყველაფერს, რაც ტყეში ხარობდა, მაგრამ მაინც გამოუდგა მათ.

და როდესაც ამათ მიირბინეს ტყის პირას, თეთს უკვე ეჭირა ხელში ანთებული ტოტი და მოარბენინებდა.

— ოო, ულუ, მე დავანთებ ცეცხლს, მე შევწვავ ხორცს, მე გავჭმევთ გემრიელ შემწვარ ხორცს!

— ჩვენები, ჩვენები!-იძახდა წკრია, მაგრამ ტყეში შესვლა შეუძლებელი იყო.

ისინი დაბრუნდნენ ნენისა და ბეს სამყოფელთან. თეთმა დაანთო წითელი ლამაზი ცეცხლი. გოხმა მოკლა ერთი თხა და შეწვა...

მთელი დღე და ღამე ბობოქრობდა ტყეში ცეცხლი და მხოლოდ მესამე დღეს იკლო და ნელნელა ჩაქრა.

— მე არასოდეს არ ჩავაქრობ ცეცხლს,თქვა—თეთმა.

— თეთ,—უთხრა მას ულუმ ცოტა ფიქრის შემდეგ,—ჩვენ აქ უნდა ავაშენოთ კარავი მიწაზე, ზემოდამ.

— ოჰ, რა კარგი იქნება, ულუ, აქ, ამათთან, ნენისა და ბას ახლოს. შენ ხომ გამოჰკვეთ ბასაც?

— ჩვენ ხეებზე ავაშენოთ კარავი! — წამოიძახა უცებ წკრიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტყეში?—შეშინდნენ გოხ და თეთ.

— არა, აქ. ჩვენ დავასოთ ბარჯგები... ჩვენები უსობდნენ ბარჯგებს ხის ტოტებს და ამაგრებდნენ...

— უღუ, შენ ისეთი ლონიერი და ვაჟკაცი იქნები, როგორც ბა.

— ოჰ, თეთ, შენ ნენსავით ლამაზი ხარ, ფაროე თასმით რომ გაქვს თმა გადაკრული.

ერთხელ უღუ და წკრია ტყეში წავიდნენ. ჩუმ ად, სიფრთხილით მიდიოდნენ ისინი იქ, სადაც ტყის ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ ნახეს, რომ იმათი ხეები სრულიად ამომწვარიყო და მათ ადგილას დანახშირებული ჯირკვები ეყარა.

— წასულან,—თქვა წკრიამ.

— იქნება დაიწვნენ? უპასუხა უღუმ.

— არ ვიცი, მაგრამ მე იმათთან არასოდეს აღარ დავბრუნდები.

— შენ არასოდეს არ წახვალ ჩვენგან, წკრია?

— არასოდეს, უღუ, მე მიყვარს თქვენთან ცხოვრება, ნადირობა, თქვენი სიმღერა, ცეკვა, თხები და... ჰამუ...

და ხელიხელჩაკიდებულნი გამოიქცნენ ისინი შინისაკენ.

ალექსანდრე აბაშელი

ქარმა ააშრიალა ნაღამევი ყანები,
ცის დაბინდულ სარკეზე თეთრი ბზარი გამოჩნდა.
ამოვიდა ბარბაცით მთვარე ნაგვიანევი
და მთის მაღალ მწვანეზე დაღლილივით ჩამოჯდა.
მთებზე სანთლებს ანთებენ, მთები მზეს ეძახიან,
სადღაც ყივის მამალი, სადღაც თოფმა იჭექა,
ღამემ აჩქარებულმა ფრთები კლდეს შეახია
და თოფდაკრულ მხეცივით ხრამში გადაიჩეხა.

ვიდრე დილის მნათობი დროშას ჩამოჰკიდებდა,
ალიონმა ცის ლაჟვარდს ღამის მჭვარტლი მოჰბანა,
მზემ დაიპყრო ხმელეთი და ცა კიდით-კიდემდე,
მთვარე დარჩა კუთხეში თეთრ ღრუბლების ჩობანად.
და როდესაც მოთავდა ცის გუმბათის აგება
და უფსკრულში ჩაიწვა ღამის ბნელი უკუნი,
ციდან მომსკდარ სინათლეს მიწამ შემოაგება
კოლმეურნულ სიმღერის საამური გუგუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარას შევჩენკო

1939 წლის 9 მარტს შესრულდა 125 წელი უკრაინის პოეტის ტარას გრიგორის-ძე შევჩენკოს დაბადებიდან. ბრძოლით, წამებითა და განსაცვიფრებელი ამტანიანობით არის აღსავსე ამ დიდი რევოლუციონერი პოეტის ცხოვრება. მან საკუთარ თავზე გამოცადა ჯერ ბატონყმობის მძიმე უღელი, შემდეგ თვითმპყრობელობის მთელი სისაძაგლე და ვერაგობა.

მეფის ხელისუფლება ვერ ითმენდა პროგრესიულად მოაზროვნე ადამიანებს, ხალხის მეგობრებს, ნიჭსა და ტალანტს. ამიტომ მან არ დაინდო შევჩენკოც, რომელსაც სიცოცხლის საუკეთესო წლები გადასახლებაში გაატარებინა, მაგრამ ვერც გადასახლებამ და ვერც მუდმივმა დევნამ შევჩენკოში ვერ ჩაახრჩვეს ნიჭი და რევოლუციონური სულისკვეთება. შევჩენკომ თავის უკვდავ ლექსებსა და პოემებში გამოხატა უკრაინის ხალხის ტკივილები, მისწრაფებები და გმირული ბრძოლა ცარიზმისა და მემამულე-პანების წინააღმდეგ.

ᲣᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ

შევჩენკო დაიბადა 1814 წელს. მისი მამა გრიგორ შევჩენკო ყმა გლეხი იყო. ტარასმა ბავშვობა უსიხარულოდ გაატარა. წერა-კითხვა შეისწავლა სოფლის ლოთი ხუცებისაგან, რომლებმაც კარგად იცოდნენ მხოლოდ ყმა-გლეხთა შვილების გაწკეპლვა.

8 წლის ტარასს დედა მოუკვდა. 2-3 წელიწადი ბოროტი დედინაცვლის ხელში გაატარა. 12 წლისას გარდაეცვალა მამაც. ნაადრევად დაობლებული ტარასი ბრჭყალებში ჩაუვარდა მამის ბატონს, მემამულე ენგელგარდტს. მემამულის კარზე აბუჩად აგდება და წამება ყოველღიურ მოვლენად გადაიქცა.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

მემამულე ენგელგარდტი ხშირად იცვლიდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. სხვადასხვა დროს იგი ცხოვრობდა კიევში, ვილნოში, ვარშავაში და პეტერბურგში.

15-16 წლის შევჩენკო, როგორც შინამოსამსახურე ყმა, თან ახლდა მემამულეს, რომელსაც ქალაქიდან ქალაქში გადაბარგების დროს ეტლების გრძელი ქარავანი მისდევდა ხოლმე. მგზავრობის დროს შევჩენკო ეცნობოდა უკრაინისა და რუსეთის ღარიბი ხალხის მონურ ცხოვრებას, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა მასზე. წინათ, ბავშვობისას, მას ეგონა, რომ სიღარიბე და გაჭირვება მხოლოდ მისი სამშობლო სოფლის კუთვნილება იყო; ახლა კი მან დაინახა, რომ ღარიბები სხვაგანაც ყოფილან და იმავე ჩაგვრა-დამცირებას განიცდიან.

შევჩენკომ მიხნად დაისახა ებრძოლა ამ ჩაგრული ხალხის საკეთილდღეოდ... 1829 წელს ქალაქ ვილნოდან ტარასი თავის დასთან მიწერილ წერილში სხვათაშორის წერდა: ჩაგრულთა განთავისუფლებისათვის ბრძოლას შევწირავ მთელს ჩემს სიცოცხლესო.

ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢ ᲨᲘᲠᲘᲐᲔᲕᲗᲐᲜ

„1832 წელს შემისრულდა 18 წელი,—წერს შევჩენკო თავის ავტობიოგრაფიაში,—და, რადგან ჩემს ბატონს არ გაუმართლდა იმედები, რომ მე გამოვიჩენდი ლაქიისათვის საჭირო უნარსა და სიმკვირცხლეს, დამაკონტრაქტა შეგირდად, წლის ვადით, ფერწერის ოსტატ შირიაევთან“.

ეს შირიაევი ლოთი და მეტად უხეში კაცი იყო, მაგრამ მას ჰქონდა ერთი კარგი ხასიათი: აინტერესებდა ლიტერატურა და კავშირი ჰქონდა ლიტერატურულ წრეებთან. მის ბინაზე იკრიბებოდნენ სტუმრები, რომლებიც ხმამაღლა კითხულობდნენ ჟუკოვსკისა და პუშკინის ლექსებს. ახალგაზრდა შევჩენკო გულმოდგინედ უსმენდა მათ და განსაკუთრებით აღტაცებაში ძოდიოდა პუშკინის ლექსებით.

შევჩენკოს ბავშვობიდანვე იტაცებდა ხატვა, ჟუკოვსკისა და პუშკინის ლექსების ზეგავლენით მასში გაიღვიძა ლიტერატურისა და, კერძოდ, პოეზიის დიდმა სიყვარულმაც. შირიაევთან შევჩენკო ბევრს მუშაობდა. მთელი დღე ღებავდა სახლის სახურავებს, კარებებისა და ფანჯრების ჩარჩოებს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

შევჩენკო შემოდგომის ერთერთ ნათელ ღამეს პეტერბურგის საზაფხულო ბაღში ქანდაკებებიდან იღებდა სურათებს. ხატვით გატაცებულ ტარასს შემთხვევით თავს წააწყდა იმ დროისათვის თვალსაჩინო მხატვარი ივანე მაქსიმეს-ძე სოშენკო, რომელიც დიდად დაინტერესდა შევჩენკოთი. სოშე-

ნკომ ახალგაზრდა ტარასში დაინახა ტალანტი და წარუდგინა იგი სახელგანთქმულ პოეტს ჟუკოვსკის, რომელსაც უკვე გაეგონა ნიჭიერ მლებავ შევჩენკოს სახელი. ჟუკოვსკიმ დაავალა ტარასს დაეწერა ლიტერატურული ნაწარმოები თემაზე ,,მხატვრის ცხოვრება‘‘. შევჩენკომ იმდენად კარგად შეასრულა ეს დავალება, რომ ჟუკოვსკი აღტაცებაში მოვიდა. რუსეთის დიდმა პოეტმა დაიწყო ზრუნვა შევჩენკოს ყმობიდან განთავისუფლებაზე.

1838 წელს გამოჩენილმა მხატვარმა ბრიულოვმა ჟუკოვსკის თხოვნით დახატა ამ უკანასკნელის პორტრეტი, რომელიც შევჩენკოს მეგობრებმა ლატარიაში გაათამაშეს და ამით აიღეს 2, 500 მანეთი. ამ ფულით იმავე წლის 22 აპრილს გამოისყიდეს 24 წლის ტარას შევჩენკო მემამულე ენგელგარდტისაგან.

გადასახლება შუა-აზიის უდაბნოებში

1840 წელს უკრაინულ ენაზე გამოიცა შევჩენკოს ლექსთა პირველი კრებული ,,კობზარის‘‘ სახელწოდებით, ამ წიგნს უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა უკრაინის მშრომელი და ჩაგრული მოსახლეობა. ხალხი ყველგან მღეროდა შევჩენკოს ლექსებს.

1841 წელს გამოიცა შევჩენკოს დიდი პოემა ,,გაიდამაკი‘‘,რომელიც დაწერილია 1768 წლის უკრაინელ გლეხ-გაიდამაკების აჯანყებაზე. პოლონელმა პანებმა თვითმპყრობელობის დახმარებით ჩააქრეს ეს აჯანყება. აჯანყების ხელმძღვანელები, ზალიზნიაკი და გონტი, აწამეს. უკრაინელი გლეხები კვლავ პანების მონებად აქციეს. შევჩენკომ კი თავის პოემაში ქება-დიდება შეასხა ამ აჯანყების გმირებს. პოემა ,,გაიდამაკის‘‘ გამოსვლამ მემამულეებში შიში და ძრწოლვა გამოიწვია: ვაი თუ ამ დიდებული პოემით წაქეზებულმა გაიდამაკებმა კვლავ აღმართონ აჯანყების დროშაო. შევჩენკოს ძვირად დაუჯდა მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ გაბედული მოწოდება.

ნიკოლოზ პირველს მოახსენეს, რომ შევჩენკო „თხზავს მალოროსულ ენაზე აღმაშფოთებელი შინაარსის ლექსებს‘‘. 1847 წ. შევჩენკო დააპატიმრეს და გადაასახლეს შუა-აზიის უდაბნოებში უბრალო ჯარისკაცად. 10 წლის განმავლობაში იტანდა ყველა იმ დამცირებასა და წამებას, რაც რევოლუციამდის ყოველი ,,სალდათის‘‘ ხვედრი იყო. შევჩენკოს ამავე დროს აუკრძალეს წერაცა და ხატვაც.

გადასახლებამ ვერ გატეხა შევჩენკოს მორალური სიმტკიცე. 1857 წელს, როცა გადასახლებიდან დაბრუნდა, მან თავის დღიურში ჩაწერა: „მე იგივე ვარ, რაც ვიყავი ათი წლის წინათ“...

მაგრამ შევჩენკოს დიდხანს აღარ უცოცხლია. გადასახლებით გაწამებული და ფიზიკურად დაუძლურებული შევჩენკო 1861 წლის 26 თებერვალს გარდაიცვალა.

ტარას შევჩენკო

* * *

ეჰ, მოხუცი მამა მოკვდა,
აღარა მყავს დედაც,
არვინ დამრჩა გამახაროს,
სევდა დამებედა.

* * *

რა ვქნა, ბედმა ქვეყანაზე
ობლად დამარჩინა,
ხალხში ვნახო სადმე ბინა,
თუ ვინაღვლო შინა?

* * *

ეჰ, დავუვლი მწვანე ჭალებს,
პიტნას ბლომად ვთესავ,
სანამ პიტნა გაიხარებს,
აქ დავრჩები მეცა.

* * *

მოვა ვინმე ჩემ ქოხპახში,
მიპატრონებს მხსნელად,
არ მოვა და — თვითონ წავალ
ბედის საძებნელად...

* * *

აბიბინდა იმის პიტნა,
ველებს ეფინება,
ის ობოლი გოგონა კი
სხვის მოახლედ ჰქნება.

უკრაინულიდან თარგმნილი მაყვალა მრევლიშვილისა.

პოლიენ იაკოვლევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი აღმატებულება ჩამობრძანდა

(თავი წიგნიდან „პირველი მოწაფე")

დილიდანვე ცხოვრება ჩვეულებრივი წესრიგით მიმდინარეობდა: ზარი, ლოცვა და შემდეგ გაკვეთილები; არც კი დამთავრებულიყო მეორე ცვლა, რომ კლასში შეშინებული პოპოჩკა შემოვარდა და გამოაცხადა:

— ქალაქში ჩამობრძანდა მისი აღმატებულება, ბატონი მზრუნველი სასწავლო ოლქისა, აქ მობრძანდება, გიმნაზიაში, დაივლის კლასებს, თვითონა ჰკითხავს მოწაფეებს და...

არ დაუმთავრებია, ისე გაიქცა მეორე კლასისაკენ.

— სუუ! მისი აღმატებულება ჩამობრძანდა... თვითონ გამოიკითხავს... მოიჭირეთ ქამრები! გაისწორეთ ქუდები, აკრიფეთ იატაკიდან ქაღალდის ნაგლეჯები!

პოპოჩკა უკვე მეექვსე კლასშია.

— მისი აღმატებულება ჩამობრძანდა... ეი, თქვენ, მანდ ფანჯარასთან რომ დაყუდებულხართ, რატომ არ გაკრეჭილხართ? მოუსვით პარიკმახერისაკენ, ვასილევსკი, სად დაჰკარგე ღილი? ჩქარა მიიკერე!

— რით უნდა მივიკერო?

— რითაც გინდა, გინდ თითით მიიკერე!

ერთი წუთის შემდეგ პოპოჩკას ხმა უკვე უკანასკნელი მერვე კლასიდან მოისმოდა.

— ბატონებო, თქვენ ხომ მოზრდილები ხართ, ეშმაკმა იცის თქვენი თავი, რასა ჰგევხართ, რანაირად დაგიყენებიათ თმა! მოიკრიჭეთ ქოჩორი! ტრუბჩიკოვ, აქ მასკარადი კი არ არის, სახელოები რად გაქვს იდაყვამდის?

— გავიზარდე,—დინჯად უპასუხა ტრუბჩიკოვმა—მეხუთე კლასში რომ ვიყავი, მაშინ შემიკერეს და... მერე რა მოხდა, რომ...

— ის მოხდა, რომ არ ეჩვენო მზრუნველს ასეთ ფორმაში. შარვალი, შარვალი, ერთი შეხედეთ, ფოჩიანი შარვალი აცვია.

— კარგი, შარვალს გავიხდი და საცვლის ამარა დავჯდები,—უპასუხა პირქუშად ტრუბჩიკოვმა.

— სისულელეა!

— სისულელეა, აბა რა ვქნა, შარვლით ვიქნები სისულელეა, უშარვლოდაც სისულელეა, მაშინ ახალი შარვალი მიყიდეთ.

— მე მოვალე არა ვარ.

— მაშინ დეე მზრუნველმა მიყიდოს.

— კარგი, მე მზრუნველს მოვახსენებ, და ის თქვენ გიყიდით... გიყიდით, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაგავიწყდეთ ენამახვილობა.

აკიმი უკვე ახალ სახაზინო ქურთუკში გამოწყობილიყო. ქურთუკზე ბრწყინავდა ორ-რიგად ჩარიგებული სპილენძის ღილები, სახელოზე იდაყვთან ფართე კუთხედ გაშლილიყო ვერცხლისფერი ბუზმენტი, გულზე ბრწყინავდა ბრინჯაოს მედალი.

ის სასწრაფოდ წმენდდა ცარცით კარების სახელურს და ჯავრობდა მორბენალ გიმნაზიელებზე.

კლასში უცებ შვაბრა შემოვარდა, თვითონ მიხურა კარი და უხმოდ დააცქერდა მოწაფეებს. აბსოლუტური სიწყნარის მოლოდინში ოდნავ აკანკალებული ხმით წარმოთქვა:

— იცით? გამცნეს თქვენ?

— ვიცით,—წყნარად უპასუხეს გიმნაზიელებმა.

— ისიც იცით, რომ გამოიკითხავს?

— ვიცით, პოპოჩკამ უკვე გვითხრა.

შვაბრა ისე იყო აღელვებული, რომ ვერც კი შენიშნა, ზედამხედველს რომ პოპოჩკა უწოდეს, სხვა დროს ის ამას არავის აპატიებდა.

— მაშ ასე,—წარმოთქვა მან,—უპასუხებენ მხოლოდ საუკეთესონი. შენც,—მიმართა მან მუხომორს, შენ,—მიუთითა ამოსოვს,—შენც,—თითი ბუხას მიუშვირა,—და შენც, ნიფონტოვ, მოამზადეთ ოცდამეჩვიდმეტე პარაგრაფი, თუ გკითხათ მისმა აღმატებულებამ, უპასუხეთ, რომ მეტი არ გვისწავლია.

— როგორ თუ არ გვისწავლია?—წამოდგა სამოხინი,—მადლობა ღმერთს, უკვე ორმოცდამეცხრესა ვღეჭავთ...

— მე კი ვამბობ, უპასუხებთ, რომ ოცდამეჩვიდმეტე პარაგრაფზე მეტი არ გვისწავლია. გესმით?

— აჰა,—მიხვდა სამოხა,—ტყუილის თქმაა საჭირო. საინტერესოა.—შვაბრა გაფითრდა, მაგრამ ისე დაიჭირა თავი, თითქოს არ გაუგონია.

— დასახელებულების გარდა სხვამ არავინ გაბედოს ხელის აწევა, თორემ წამოუყრანტალებთ რაღაც შეუფერებელს და... კლასმა უნდა თავი გამოიჩინოს. გესმით?

— ასე თუ გინდათ, ჟურნალი უჩვენეთ მზრუნველს, იქ მე ორმოცი ორიანი მიზის,—გესლიანად ურჩია სამოხამ.

— სამოხინ!—ბრაზის შეკავებით თქვა შვაბრამ.—უკეთესია თქვენ შინ წახვიდეთ, თორემ მზრუნველი გკითხავთ რამეს და თქვენ კი ენა ჩაგივარდე-

ბათ, მთელ კლასს შეარცხვენთ. ყოველ შემთხვევაში, მე თქვენ გაფრთხილებთ, თუ თქვენ მზრუნველის წინაშე რაიმეს ითაღლითებთ, დღესვე მიბრძანდებით გიმნაზიიდან, მაგრამ თუ კარგად მოიქცევით, მე თქვენს მაგიერ ვთხოვ აპოლონ ავგუსტოვიჩს, რომ...

— ასე თუ ისე, სულერთია, მე უნდა მივბრძანდე გიმნაზიიდან,—გულგრილად წარმოთქვა სამოხინმა.

— ფრთხილად იყავ!—დაემუქრა მას შვაბრა თითის ქნევით და კლასს მიჰმართა.

-- მაშ ასე, გახსოვდეთ, ოცდამეჩვიდმეტე პარაგრაფი. სანამ უპასუხებთ, მანამდის მოიფიქრეთ. როცა გამოგიძახებთ, ხელების ქნევას ნუ მოჰყვებით. ჰაი, მართლა, ხელები დაიბანეთ, მერხებიდან მტვერი გადაწმინდეთ, დაფა ისე გაასუფთავეთ, რომ მინასავით ბრწყინავდეს.

უცებ პოპოჩკა, რომელიც აქამდის ფანჯარასთან დარაჯობდა, მივარდა დირექტორს და ქუჩაში ხელის გაშვერით დაიძახა:

— მოდიან!

აკიმმა, სვლის დროს, მოქანავე ზარის ენა დაიჭირა და საზეიმო შემოსასვლელისაკენ წაცუხცუხდა.

მასწავლებლები კლასებში შეიმალნენ და ქურდულად მიიხურეს კარები. აპოლონ ავგუსტის-ძე და მღვდელი მედიდურად გაემართნენ დიდებული სტუმრის შესახვედრად.

შვაბრა დარეტიანებულივით დაჯდა კათედრასთან, ნერვიულად ჩაათვალიერა მერხები, ასწია თითი და თქვა:

— სუუ...

შემდეგ დაიმუქრა.

ყველა გაჩუმდა. თავები კარებისაკენ მიაბრუნეს.

ტალანიდან გაურკვეველი ხმები მოისმა, ვიღაცის საზეიმო ფეხის ხმა შემოიჭრა, შემდეგ მიწყდა და კვლავ ყველაფერი მიჩუმდა.

შვაბრა კიდევ დაიმუქრა, თვალები კარებისაკენ მიბრიცა და თქვა:

— გადაშალეთ წიგნები ოცდამეჩვიდმეტე პარაგრაფზე. თუ მისმა აღმატებულებამ გკითხათ, რომელი ზმნებია მესამე უღვლილებისა დაბოლოებით...

ვერ მოასწრო დამთავრება, რომ ტალანში კვლავ ფეხის ხმა გაისმა, სულ უფრო მკვეთრად, სულ ახლო...,

— სუუ....

შვაბრამ თითი ტუჩებთან მიიტანა და გაჩუმდა.

— ალბათ, ჩვენ კლასში მოდ....

უცებ გაიღო კარი და მზრუნველი შემოვიდა, მის უკან აპოლონ ავგუსტის-ძე.

შვაბრამ თვალი ჩაუკრა, და ყველანი, როგორც ერთი, უხმაუროდ წამოიშალნენ. ოცდარვა წყვილი თვალი ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა მზრუნველს.

მზრუნველი მოხუცი იყო, თავზე თმა გასცვივნოდა, ჭაღარა ბაკენბარდები და ოქროს სათვალეები ჰქონდა. ფერადი ლენტით ღაბაბქვეშ ეკიდა მინანქრიანი წითელი ჯვარი, გულზე კი ბრწყინვალე ვარსკვლავი.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, ძვირფასებო,— თქვა მან ზვიადად და ალერსიანად.—როგორ სწავლობთ?

— სიცოცხლეს გისურვებთ, თქვენო მაღალ-კეთილ-შობ-ილე-ბავ!—ჩააბულბულეს გიმნაზიელებმა და ვარსკვლავს მიაშტერდნენ.

— „ისე ჰკიდია, როგორც ნაძვზე“—გაიფიქრა სამოხამ.

— უჰ, როგორ იბერება,—გაურბინა თავში მუხომორს და მოაგონდა მეზობლის ინდოური.

ამოსოვი ხარბად ეალერსებოდა თვალებით მზრუნველის მუნდირს. შვაბრა მოწაფისებური ბორძიკით წარუდგა და მოახსენა.

.. ორი თითი უჩვენა ...

— მე გახლავართ მასწავლებელი ძველი ბერძნული და რუსული ენებისა, აფინოგენ იგორის-ძე ვიხლიაევი. კლასში ოცდათორმეტი მოწაფეა, ესწრება 28, ოთხი ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა. ამჟამად მიმდინარეობს ძველი ბერძნულის გაკვეთილი. პროგრამის მიხედვით გავლილია ოცდამეჩვიდმეტე პარაგრაფამდის, ჩათვლით.

მზრუნველმა უხმოდ დაუქნია თავი და კლასს მიჰმართა.

— დასხედით!

ყველა, როგორც მომართული სათამაშო, სკამზე დაეშვა. ვიღაცას მღელვარებისაგან საკალმე დაუვარდა. აპოლონ ავგუსტის-ძემ წარბები შეიჭმუხნა და მზრუნველის ზურგიდან თითის ქნევით დაიმუქრა. შვაბრა დამნაშავესავით იღიმებოდა, თავს იქნევდა.

— რომელია საუკეთესო მოწაფე?—ჰკითხა მზრუნველმა.

— აი,—მოიხარა შვაბრა და ამოსოვზე უჩვენა, —საუკეთესოა კლასში, მშვენიერი ბიჭია.

— დიახ,—დაადასტურა აპოლონ ავგუსტოვიჩმა და მოაგონდა ბრწყინვალე ვახშამი კოლას მამასთან.—ეს პირველი მოწაფეა, კარგი ოჯახიდანაა, მამა—მემამულეა.

-- სასიამოვნოა, სასიამოვნოა,—თავი დაიქნია მზრუნველმა.

— მომილოცნია, ყმაწვილო, ეცადეთ, ეცადეთ.

ამოსოვმა ხელები გაიწოდა, სიხარულისაგან წამოწითლდა და ძაღლის ერთგულებით შეხედა მზრუნველს.

— კიდევ ვინაა კარგი?—იკითხა მზრუნველმა.

შვაბრამ მუხომორზე უჩვენა.

— ტოკარევ ვლადიმერი... საკმაოდ უნარიანი ბიჭია.

— დაბალი ფენებიდანაა,—უჩურჩულა ყურში დირექტორმა.

— აჰა...—ამოხდა მზრუნველს, არაფერი უთქვამს მუხომორისათვის, ისე მიმართა კორიაგინს.

— რა გვარი ხარ?

— კორიაგინ სერგეი.

— ასწრებ?

კორიაგინს შერცხვა, შვაბრა მიეშველა, ოხვრით წარმოთქვა:

— საშუალოა.

—აჰა. — თქვენ?

მიმართა მზრუნველმა სამოხინს. მან უპასუხა:

— სამოხინი ივანე, პირველი ვარ ბოლოდან, ვარჯიშში სამი მქავს. დანარჩენში... და აქ სამოხინმა ორი თითი უჩვენა. დირექტორი შეიშმუშნა. შვაბრა გაფითრდა. მზრუნველი ცნობისმოყვარეობით დააცქერდა სამოხინს, დიდხანს ათვალიერებდა მას და ბოლოს თქვა:

— ორიგინალურია...

—ტოკარევ ვლადიმერ, მობრძანდით, უპასუხეთ, —წარმოთქვა თავისი კლასის წარმატებით გახარებულმა შვაბრამ.

მუხომორი წყნარად მივიდა კათედრასთან, გაისწორა ქურთუკი და მოემზადა.

მზრუნველმა თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა და თქვა:

— თქვენმა ამხანაგმა ფრიადზე მიპასუხა, ვიმედოვნებ, თქვენც გამოიჩენთ თქვენს ცოდნას.

— დიახ, თქვა მუხომორმა,—ამოსოვმა სწორედ გიპასუხათ.

— მაგრამ სულ არ იყო სწორე.

— როგორ?—გაიკვირვა მზრუნველმა,—რაში შეცდა?

— პარაგრაფში.

— რომელ პარაგრაფში, მე ვერ მიგიხვდით?

— ჩვენ ოცდაჩვიდმეტი კი არა, ორმოცდაცხრა პარაგრაფი გავიარეთ, ამოსოვი შეცდა,— დაბეჯითებით თქვა მუხომორმა.

— მომითმინეთ, მომითმინეთ,—შეიჭმუხნა წარბები მზრუნველმა. თქვენ... მე ვერ გამიგია... მაგრამ თქვენმა კლასის დამრიგებელმა აფინოგენ იაგორის-ძემაც ხომ თქვა, რომ ოცდაჩვიდმეტი პარაგრაფი გაიარეთ, და თუ ამოსოვი შეცდა, არ შეიძლება, რომ აფინოგენ იაგორის-ძე შემცდარიყო, თქვენ რაღაც ურევთ, ყმაწვილო.

— ჩვენ გავიარეთ ორმოცდაცხრა პარაგრაფი, —ჯიუტად გაიმეორა მუხომორმა.—ჰკითხეთ კლასს, თქვენ თითოეული გიპასუხებთ.

— მართალია! ორმოცდაცხრა!—თავისდა უნებურად წამოიძახა სამოხინმა და შენიშნა რა მუხომორი მას უყურებდა, საჰაერო კოცნა გაუგზავნა.

შვაბრა არც ცოცხალი იყო და არც მკვდარი, დირექტორი ტუჩებს იკვნეტდა. მზრუნველმა სათვალეები მოიხსნა და ცნობისმოყვარეობით უყურებდა ხან ერთს და ხან მეორეს.

— დიახ,—გაურკვევლად წაიჩურჩულა მან,—აბა წაიკითხე და გადამითარგმნე...

მზრუნველმა უხერხულად ჩათვალა მოწაფეებთან ამის შესახებ რაიმე შეკითხვა მიეცა შვაბრასთვის.

— წაიკითხეთ,—კიდევ უთხრა მან მუხომორს.

მუხომორმა დაიწყო.

— მოითმინეთ, —შეაჩერა მზრუნველმა,—რას კითხულობთ, მე მაგისთანას ვერაფერსა ვხედავ წიგნში.

— მე ორმოცდამეცხრესა ვკითხულობ და არა ოცდამეჩვიდმეტეს. დღეისთვის ჩვენ ორმოცდამეცხრე გვაქვს მოცემული,—უპასუხა მუხომორმა.—ჩვენ ცალკეული სიტყვებიც ამოვწერეთ ამ პარაგრაფიდან, აიღეთ რომელიც გინდა რვეული, და თქვენ დარწმუნდებით, რომ მე მართალს ვამბობ.

— თქვენ... მზრუნველს შუბლი გაუწითლდა... თქვენ... ძალიან თამამობთ, — ცივად გააწყვეტინა მუხომორს — თქვენ შეკითხვაზე უპასუხეთ, ნუ ლაპარაკობთ იმაზე, რასაც არ გეკითხებიან... ისე კი... დაჯექით...

მზრუნველი ადგა,

ჩამოვიდა კათედრიდან, ჩაფიქრდა, აუჩქარებლად მივიდა ნიფონტოვთან და მკაცრად უთხრა:

— მაჩვენეთ თქვენი რვეული!

ნიფონტოვი შეცბა, სწრაფად ააფათურა ხელები მერხში.

— ინებეთ.

მზრუნველმა გადაფურცლა რვეული, უხმოდ დაუბრუნა, შემდეგ ამოსოვთან მივიდა.—თქვენი რვეული.

ამოსოვი აცახცახდა, რვეული მერხში ედვა, თავი მშვიდად მოაჩვენა და წარმოთქვა:

— მაპატიეთ, შინ დამრჩა...

მზრუნველმა უნდობლის თვალით გადახედა ამოსოვს და მედვედევთან მივიდა.

— მომეცით რვეული.

მედვედევს რვეული მზადა ჰქონდა.

მზრუნველი დარწმუნდა, რომ რვეულებში მართლაც ამოწერილია სიტყვები ორმოცდამეცხრე პარაგრაფამდის, უსიტყვოდ გაემართა კარებისაკენ და არც კი გამოემშვიდობა კლასს, ისე გავიდა.

აპოლონ ავგუსტოვიჩი შეშინებული გაჰყვა უკან.

შვაბრა გაფითრდა და გაშეშდა, როგორც ქვისაგან გამოძერწილი კერპი, დაუცადა, სანამ ტალანებში ფეხის ხმა მიწყდებოდა, წყნარად მივიდა მუხომორთან, დაიხარა და ბრაზით წასჩურჩულა:

— საძა-გე-ლო!

თარგმანი თ. შ.

მოსწავლეთა შემოქმედება

გაზაფხული

კვლავ გვეწვია გაზაფხული
მოხასხასე მწვანე ფერით,
დრო შრომის და სიხარულის,
ჩვენი ქვეყნის შესაფერი.
მისი ეშხით კოკორ ვარდის
ტრფობა ერგო ფრინველთ მგოსანს,
არემარეც მისი ფარჩით,
ძოწეულით შეიმოსა.
მთის მკერდს მოსწყდა ნაკადული,
ნეტარების ცრემლს რომ ჰგავდა...
მდელოც ყვავის, რადგან ზამთარს
მეფობის დრო გაუთავდა.

ბარად წვეულ მთის ცელქ ნიავს
შესჩურჩულებს ლურჯი ია,
და ფუტკარიც ია-ვარდის
სურნელებას გაურჯია.
აყვავებულ მთებს და ჭალებს
მზე უქარგავს სხვითა ბადეს,
და მერცხალიც შესჭიკჭიკებს
გაზაფხულის სიდიადეს.
მიყვარს, მიყვარს ეს ბუნება,
გარიჟრაჟი, მკვირცხლი დილა,
რადგან მათში სიცოცხლე და
სიხარული ჩაქსოვილა.

მურმან ლებანიძე
თბილისის მე-35 სკოლა

აყვავდა მთა და ბარიო

შვენიერება შეიქნა,
აყვავდა მთა და ბარიო,
მთებზე დნებიან თოვლები,
დაბლა ჩამოდის ღვარიო.
ნელმა დაბერა სიომა,
აღარ უბერავს ქარიო,
ჩანჩქერნი ადიდებულან,
ბარში მოქანავს ჩქარიო,
სხვა ქვეყნიდანაც მოფრინდნენ
ჩვენგან წასული ჩიტები,
წერო, მერცხალი, ბულბული,
არც მათ ჩამორჩნენ გვრიტები.
ახლა კი ყველა აყვავდა;
ბაღი, მინდორი, მთებიც,
ბალახთაც ამოიწიეს,
ბადაიშალეს თმებია.

პიონერი შაქრო წიკლაური
ფაქის საბავშვო სახლი.

ტარას შევჩენკოს

არ მოკვდები, რადგან ხალხში
გაგიდგია მტკიცე ფესვი,
შენი ხმა, მტრის გულსაკლავი,
ლექსებიდან დღესაც გვესმის
შავ წარსულით დატანჯული
ჩამოიჭერ, აღდექ უკვე,
დღეს შეჰხარი ახალ ყოფას
და სამშობლოს სიჭაბუკეს.
აყვავებულ უკრაინას
მზე სხივებით უხვად მოსავს,
ხალხი გეტრფის, გულში გიკრავს
ერთგულ შვილს და უკვდავ მგოსანს.
აღარ გვტანჯავს სიდუხჭირე
და შევხარით ყოფას მზიანს,
შენი ნიჭი, წმინდა აზრი,
წინ უძღვის ჩვენს პოეზიას.

ვახტანგ ჯაჭვაძე
თბილისის მე-30 საშუალო სკ. VIII კლასის
მოსწავლე

39 ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღარბი და ბუ

ვის არ გაუგონია ზღარბი და ბუ, ღამის ეს ორი მტაცებელი, მაგრამ ბევრმა არ იცის, რა ხერხებს მიმართავენ ისინი საჭირო საზრდოს მოსაპოვებლად.

ზღარბი პატარა, რუხი ოთხფეხი ცხოველია. დღისით მას სადმე სოროში სძინავს, ღამით ამოდის იქიდან და მოუსვენრად დაფუსფუსობს ჭიაღუების, ბუზანკლების, ხოჭო—თაგვების დასაჭერად. ის გარეგნულად ჩუმი, მშვიდი არსებაა. მისი თავდაცვითი იარაღი ეკლით შემოსილი ქურქია. მას ნებისმიერად შეუძლია აიბუძგოს და კვლავ ჩვეულებრივი მდგომარეობა მიიღოს. ეს საჭურველი მას აძლევს საშუალებას იერიში მიიტანოს და შემუსროს ისეთი ქვეწარმავალი, როგორიც საშიშარი შხამიანი გველია. მას არაფერი ისე არ ახარებს, როგორც გველზე ნადირობა. ის ქვეწარმავალს ფეხდაფეხ სდევნის, კუდში მარჯვედ ავლებს პირს და შემდეგ სრულიად აუღელვებლივ შეექცევა მის ხორცს.

გველი უბრძოლველად როდი ნებდება უგვანო ჯოჯოს. მწარე ტკივილებით გამწარებული, იგი ბრაზიანად ეხეთქება მას თავისი შხამიანი კბილებით, მაგრამ ზღარბი მას უმალ თავის ეკლიან ქურქს ახვედრებს, რის გამო ქვეწარმავალი, თავდაშავებული, დასისხლიანებული, იძულებულია უკუიქცეს, ზღარბი კი განაგრძობს ცოცხალი გველის შეჭმას. ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე ქვეწარმავალი არ ცხრება, იკლაკნება და ბორგავს, უფრო ხელაღებით უტევს ულმობელ მკვლელს, მაგრამ უარესად დაზარალებული უკან იხევს. ასეთი ბრძოლა რამდენიმე წუთს გრძელდება, შემდეგ გველი, სისხლდაცლილი, თანდათან კარგავს წინააღმდეგობის გაწევის უნარს. ზღარბი მას ბოლოს თავსაც უჭყლეტს და სავსებით იმორჩილებს.

ღამის ფრინველი ბუ დაახლოებით ასეთივე ულმობელი მტაცებელი არსებაა არა მარტო მცირე ფრინველთა და ცხოველთა, არამედ, კერძოდ, ზღარბის მიმართაც. დღისით ის ღრუში ან ძველი შენობის ნანგრევშია. ამ დროს მას არაფრის დანახვა არ ძალუძს, უხალისოდ სთვლემს ან სძინავს. ღამით კი ფრთებს ისწორებს და ტყეში თავისუფლად იწყებს მტაცებლურ ნავარდს. ის თაგვებს, ვირთაგვებსა და სხვა ცხოველებს წარმატებით იტაცებს. თვით ზღარბი, რომელსაც ვერას აკლებს საშინელი ქვეწარმავალი, ადვილად ხდება ბუს მსხვერპლი. მას ვერას აკლებს ზღარბის ნემსისებრი ჯაგრით შემოსილი ტანსაცმელი, სასწრაფოდ ავლებს კლანჭებს და მიაქროლებს თავისი ბუდისაკენ. უბადრუკი ზღარბი სუსტი გულის გამო გზაშივე კვდება. ამით არ კმაყოფილდება ბუ. მას სურს ფრინველების ხორცითაც ჩაიტკბარუნოს პირი. მაგრამ ღამით ფრინველებს ხომ სძინავთ, როგორ მიაკვლიოს ბუმ ისინი სადმე ფოთლებში ჩამალულნი?!

ის ჯერ დიდხანს დასტრიალებს ხეებს იმის გამოსარკვევად, რომელიმე ფრინველს ხომ არ სძინავს თვალსაჩინო ადგილას დაუდევრად. თუ ასეთ უგუნურ არსებას ვერ იპოვის, მაშინ საშინელი გამყივარი ხმით გააბამს უცნაურ ძახილს. ღამის სიჩუმეში ტკბილ ძილში მყოფ ფრინველებს აღვიძებს მისი კივილი და ნახევრადმძინარენი დარეტიანებულნი იწყებენ გაფრენ—გადმოფრენას სახიფათო ადგილის მისატოვებლად. ავაზაკი მტაცებელიც ამას ელოდება. ის მათ რისხვასავით ატყდება თავზე და ძვლიან—ბუმბლიან-ტყავიანად გაუმაძღრად ნთქავს.

ვლ. ქახიანი